ძირითადი ინფორმაცია ლატვიის შესახებ

ლატვიის რესპუბლიკა არის სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში მდებარეობს; მისი მოსახლეობა 2,2 მილიონს შეადგენს. სახელწიფოს ოფიციალური ენა არის ლატვიური ენა. ფართოდ გავრცელებულია ასევე რუსული ენა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ფლობს ინგლისურ და გერმანულ ენებს. ლატვია არის დემოკრატიული, საპარლამენტო რესპუბლიკა, რომელიც 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანდა (ES) [1].

ვის აქვს თავშესაფრის მოთხოვნის უფლება ლატვიაში?

ლატვია არის 1951 წლის ლტოლვილის სტატუსის შესახებ კონვენციის წევრი სახელმწიფო. ეს კონვენცია განსაზღვრავს ლტოლვილის სტატუსის კვალიფიციურ მოთხოვნას, ასევე ლტოლვილთა უფლებებსა და მოვალეობებს.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ თავშესაფარი ლატვიაში, თუ წარმოშობის ქვეყანაში ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის წინაშე დგახართ, რომელიც დაკავშირებულია თქვენი:

- რასის;
- რელიგიის;
- ეროვნების;
- რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის;
- პოლიტიკური შეხედულებების გამო.

ES წევრი ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, კიპრი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლიტვა, ლატვია, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვეცია და ინგლისი, ხორვატია.

თუ ეს გარემოება თქვენ შემთხვევას ეხება და წარმოშობის ქვეყანაში შეუძლებელია უსაფრთხოების ზომების დაცვა, მაშინ თქვენ ლატვიაში *ლტოლვილის სტატუსი* და მუდმივი ცხოვრების უფლება მოგენიჭებათ.

ასევე, ლატვიაში შეიძლება მოგენიჭოთ თავშესაფარი, თუ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ თქვენი სიცოცხლე, ფიზიკური ინტეგრაცია ან თავისუფლება ხელყოფილი იქნება შემდეგი მიზეზების გამო:

- საყოველთაო ძალადობის;
- უცხოელი აგრესორების;
- შიდა შეიარაღებული კონფლიქტების;
- ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო.

თუ ეს გარემოებები თქვენს შემთხვევას ეხება და წარმოშობის ქვეყანაში შეუძლებელია უსაფრთხოების ზომების დაცვა, მაშინ თქვენ ლატვიაში *ალტერნატიული სტატუსი* და დროებითი ცხოვრების უფლება მოგენიჭებათ, რომელიც გადახედილი იქნება წელიწადში ერთხელ.

აქედან გამომდინარე თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თავშესაფარი, თუ გეშინიათ რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, თქვენ დაზარალდებით და არ გექნებათ შესაძლებლობა მიიღოთ საკუთარი სახელმწიფოსგან დაცვა.

რას ნიშნავს თავშესაფრის მოთხოვნა?

თავშესაფრის მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანით, თქვენ ლატვიის სახელმწიფოსგან ითხოვთ დაცვას, რადგან არ დაგაბრუნონ უკან, საკუთარ სახელმწიფოში. ასევე, ლატვიაში ითხოვთ ლტოლვილის სტატუსით ცხოვრების უფლებას.

სად შემიძლია განცხადების შეტანა?

იმისათვის რომ თავშესაფარი მოითხოვოთ, სახელმწიფო მესაზღვრეებთან **(შემდგომ ტექსტში - VRS)** განცხადება უნდა შეიტანოთ. თქვენ ეს შეგიძლიათ შემდეგნაირად:

- ლატვიის ტერიტორიაზე შემოსვლამდე სასაზღვრო გამტარ პუნქტში ან
- **VRS-**ის ტერიტორიის სტრუქტურულ ერთეულში, თუ თქვენ უკვე ლატვიის ტერიტორიაზე იმყოფებით (იხილეთ პირველი მისამართი ამ ბროშურის დასასრულს).

თქვენ შეგიძლიათ ასევე მოითხოვოთ თავშესაფარი მაშინაც კი, თუ ლატვიის ტერიტორიაზე არალეგალურად შემოხვედით (ყალბი დოკუმენტებით ან პასპორტის/ვიზის გარეშე). თუ ლატვიის ტერიტორიაზე არალეგალურად შემოხვედით, მნიშვნელოვანია ის, რომ დაუყონებლივ დაუკავშირდეთ VRS-ს ან პოლიციას და ინფორმაცია მიაწოდოთ თქვენი სურვილის შესახებ თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ასევე იმის შესახებ, რომ თქვენი დოკუმენტი არის ყალბი.

როგორ შემიძლია შევიტანო თავშესაფრის მოთხოვნა?

მოთხოვნის შეტანა

თავშესაფრის მოთხოვნა უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს თქვენს სახელს, თარიღს, მიზეზს თუ რატომ ითხოვთ თავშესაფარს და თქვენს ხელმოწერას. როგორც კი ლატვიის ტერიტორიაზე შემოხვალთ, განცხადება, **პირადად VRS**-ში უნდა შეიტანოთ. თუ თქვენ უკვე ლატვიაში ცხოვრობთ, მაშინ მოთხოვნა იმ დროს უნდა შეიტანოთ, როცა გაიგეთ რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას, თქვენ საშიშროება გელით. ასევე, უნდა შეიტანოთ ახსნა-განმარტებები იმის შესახებ, თუ რატომ არ მოითხოვეთ ადრე თავშესაფარი.

თუ გაქვთ სიძნელეები წერასთან დაკავშირებით, მაშინ **VRS-**ი განცხადების შევსებაში დაგეხმარებათ. თუ თქვენ ხართ ბავშვი,

თანხლები პირის გარეშე (არასრულწლოვანი), თავშესაფრის მოთხოვნა უნდა შეიტანოთ ისეთივე სახით, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი.

თანხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანები თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურაში

არასრულწლოვანი, თანხლები პირის გარეშე არის პიროვნება, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია (არასრულწლოვანი) და რომელიც ლატვიაში თანხლები პირის გარეშე შემოვიდა (რომელიც პასუხისმგებელია არასრულწლოვანზე). არასრულწლოვანი, თანხლები პირის გარეშე შეიძლება იყოს ასევე პიროვნება, რომელსაც 18 წელი ჯერ არ შესრულებია და რომელიც ლატვიაში შემოსვლის შემდეგ აღმოჩნდა კანონიერი ან მასზე პასუხისმგებელი სრულწლოვანი პირის თანხლების გარეშე. თუ თქვენ ხართ არასრულწლოვანი თანხლები პირის გარეშე, თავშესაფრის პროცედურაზე თქვენს ინტერესებს, მზრუნველობის ორგანო ან/და მის მიერ დანიშნული წარმომადგენელი ან ასევე, ბავშვებზე ზრუნვის ცენტრის დირექტორი დაიცავს.

ენა

თქვენ შეგიძლიათ განცხადება იმ ენაზე დაწეროთ რომელსაც ფლობთ. თუმცა, VRS-ი სწრაფად და ადვილად შესძლებს თქვენს გაგებას, თუ განცხადებას ლატვიურ, ინგლისურ, რუსულ ან ფრანგულ ენაზე შეიტანთ.

დოკუმენტაცია

VRS-ის წარმომადგენელი იდენტიფიკაციის მიზნით, სურათს გადაგიღებთ და თითის ანაბეჭდებს აიღებს. **VRS-**ი ასევე, თქვენი მგზავრობის მარშრუტს დააფიქსირებს. უნდა ჩააბაროთ თქვენს

ხელთ არსებული ყველა სახის დოკუმენტი, რომელიც თქვენს იდენტურობასა და სახელმწიფოებრივობას ადასტურებს. ასევე, ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ თქვენი მოგზაურობის მარშრუტის, სხვა სახელმწიფოში ყოფნის შესახებ. ჩამოაყალიბოთ მიზეზები, თუ რატომ ითხოვთ თავშესაფარს. **არ გაანადგუროთ თქვენი პირადი დოკუმენტები!** ამან შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს თავშესაფრის მოთხოვნის საქმეზე. თქვენი მოვალეობაა ასევე, სიმართლე თქვათ და ნდობით მოეკიდოთ **VRS**-ის წარმომადგენლებს, ითანამშრომლოთ მათთან და სხვა ინსტიტუციებთან, რომლებიც დაკავშირებული არიან თავშესაფრის პროცედურასთან.

თავშესაფრის მაძიებლის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი

იმის შემდეგ, რაც თქვენ განცხადება **შეიტანეთ, სამი დღის განმავლობაში თქვენ** მიიღებთ თავშესაფრის მაძიებლის პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტს. ეს დოკუმენტი ძალაშია იმ დროის განმავლობაში, სანამ თქვენი განცხადება განიხილება. ეს თქვენ უფლებას გაძლევთ ლატვიის ტერიტორიაზე იმყოფებოდეთ, ასევე ცხოვრობდეთ თავშესაფრის მაძიებლის მიმღებ ცენტრში.

რა ხდება მაშინ, თუ მე ლატვიაში ჩამოსვლამდე ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში ვიმყოფებოდი?

ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე ნორვეგიაში, ისლანდიაში, შვეიცარიაში და ლიჰტენშტეინში, მოქმედებს წესები იმის შესახებ, თუ რომელი სახელმწიფოა პასუხისმგებელი განიხილოს თავშესაფრის მაძიებლის განცხადება. ეს წესები მოიხსენიება, როგორც დუბლინის დებულება. თქვენ შეგიძლიათ თავშესაფარი ამ სახელმწიფოებიდან მხოლოდ ერთ სახელმწიფოში მოითხოვოთ (ასევე შეიძლება ითქვას *დუბლინის სახელმწიფოები*). თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადებას, მხოლოდ ერთი სახელმწიფო განიხილავს.

თუ თქვენ ლატვიაში ჩამოსვლამდე იმყოფებოდით სახელმწიფოში, რომელმაც ხელი მოაწერა დუბლინის დებულებას, თქვენი განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განხილული უნდა იქნეს დუბლინის იმ სახელმწიფოში, სადაც პირველად ჩახვედით. ლატვიას შეუძლია იმ სახელმწიფოსგან მოითხოვოს, რომ უკან მიგიღოთ და თქვენი განცხადება განიხილონ.

ასეთი მოთხოვნა შეიძლება გაგზავნილი იქნეს შემდეგ შემთხვევებში:
თქვენი თითის ანაბეჭდები აღებულია დუბლინის სხვა სახელმწიფოში (და შენახულია საერთო მონაცემთა ბაზაში EURODAC)

- თუ თქვენ გაქვთ ცხოვრების უფლება ან ვიზა, რომელიც დუბლინის სხვა სახელმწიფოს მიერაა გაცემული;
- თუ თქვენ ლატვიაში ჩამოსვლამდე, იმყოფებოდით დუბლინის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (მნიშვნელობა არ აქვს, ეს იყო ლეგალურად თუ არალეგალურად);
- თუ თქვენ ხართ არასრულწლოვანი, თანხლები პირის გარეშე და თქვენი ოჯახის წევრი დუბლინის სხვა სახელმწიფოში ცხოვრობს);
- თუ გყავთ ოჯახის წევრი, რომელიც დუბლინის სხვა სახელმწიფოში ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს;
- თუ გყავთ ოჯახის წევრი, რომელიც თავშესაფარს დუბლინის სხვა სახელმწიფოში ითხოვს.

რა მოხდება, თუ ჩემს განცხადებას თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ დუბლინის სხვა სახელმწიფო განიხილავს?

თუ დუბლინის სხვა სახელმწიფოში თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადება შეიტანეთ, არსებობს ორი შესაძლო ვარიანტი:

1) დუბლინის სხვა სახელმწიფო თანახმაა თქვენი განცხადება განიხილოს. თუ ეს ასე მოხდა, თქვენ გადაგზავნილი იქნებით იმ სახელმწიფოში და თავშესაფრის პროცედურა იქ გაგრძელდება.

2) დუბლინის სხვა სახელმწიფო არ განიხილავს თქვენს განცხადებას. თუ ეს ასე მოხდა, თქვენ უფლება გექნებათ ლატვიაში დარჩენისა და თქვენს განცხადებას ლატვიაში განიხილავენ.

გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი სახელმწიფოა პასუხისმგებელი თქვენი განცხადების განხილვაზე, ლატვიაში, პასუხისმგებლობას იღებს მოქალაქეობისა და მიგრაციის საქმეთა სამმართველო (შემდგომში - PMLP).

ლატვიის სამართლებრივ აქტებში მითითებულია, რომ უნდა მოგეწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, ეხება თუ არა თქვენი შემთხვევა დუბლინის დებულებას. ამის შესახებ ინფორმაცია წერილობით იმ ენაზე უნდა მოგეწოდოთ, რომელსაც თქვენ ფლობთ. ასევე მოგეწოდებათ ინფორმაცია ვადასთან დაკავშირებით და დუბლინის სხვა სახელმწიფოდან მიღებული პასუხის შესახებ, სადაც თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განცხადება განიხილება.

თუ თქვენ არ ეთანხმებით ამ გადაწყვეტილებას, თავდაპირველად PMLP-ს თავმჯდომარესთან შეგიძლიათ გაასაჩივროთ. თუ თქვენ, PMLP-ს თავმჯდომარის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით, შეგიძლიათ საჩივარი ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში შეიტანოთ. თხოვნა იქნება გაითვალისწინოთ, რომ სასამართლოში გასაჩივრება არ გადაავადებს თქვენს გადაყვანას დუბლინის სხვა სახელმწიფოში. თუმცა, საჩივარში შეგიძლიათ სასამართლოს მიმართოთ თხოვნით, რომ თქვენი გადაყვანა გადაავადოს სანამ მოსამართლე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

როგორ იქნება განხილული ჩემი თავშესაფრის მოთხოვნის განცხადება, ლატვიაში?

თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განცხადება შემდეგ სტადიებს გაივლის:



ინტერვიუ - მნიშვნელოვანი ნაწილი თავშესაფრის პროცედურაში

რისთვის არის აუცილებელი ინტერვიუ?

ინტერვიუ იგივე გასაუბრება, რომელსაც **VRS**-ი ატარებს შესაძლებლობას გაძლევთ ლატვიის რესპუბლიკის შესაბამის ინსტიტუციებს მიაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მიზეზის გამო დატოვეთ წარმოშობის ქვეყანა და მოითხოვთ თავშესაფარს. ინტერვიუს დროს თქვენ უნდა დაასახელოთ ყველა მიზეზი, თუ რატომ ითხოვთ თავშესაფარს. თქვენთვის აუცილებელი იქნება წვრილად ჩამოაყალიბოთ ყველა ის არსებული ფაქტორი, რომელიც გახდა მიზეზი თქვენი წარმოშობის ქვეყნიდან გამოქცევისა. ეს მოიცავს, მაგალითად, დაწვრილებით ინფორმაციას თქვენი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ლატვიაში ჩამოსვლამდე. იმის შესახებ, თუ რა გადაგხდათ წარმოშობის ქვეყანაში გამოქცევამდე, თარიღები, ნათესავების სახელები და იმ პიროვნების სახელები, რომლის შიშიც თქვენ გაქვთ და ა.შ.

ვინ ჩაატარებს ინტერიუს?

ინტერვიუს **VRS**-ის წარმომადგენელი ჩაიწერს და აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანიც მიიღებს მონაწილეობას. **ინტერვიუ კონფიდენციალურია.** ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაცია რომელიც ინტერვიუს დროს ჩაიწერება, თქვენი წერილობითი თანხმობის გარეშე არცერთი პიროვნება არ იქნება ინფორმირებული ინსტიტუციის ფარგლებს გარეთ, რომლებიც თავშესაფრის პროცედურასთან არიან დაკავშირებული.

რა სახის ინფორმაცია უნდა მივაწოდო ინტერვიუს დროს?

უნდა გახსოვდეთ, რომ მასალები რომლებიც ნაკლებად მნიშვნელოვანი გგონიათ, თქვენს საქმეში შეიძლება არსებითი

მნიშვნელობა ჰქონდეს. ინტერვიუს დროს მნიშვნელოვანია სიმართლის თქმა და ასევე ყველა დამადასტურებელი დოკუმენტის, მტკიცებულებების წარდგენა და ა.შ., რომელიც თქვენს მიერ მონაყოლს დაადასტურებს. თუ თქვენ ინტერვიუს დროს დოკუმენტის ასლი შემოიტანეთ, მაშინ უნდა იზრუნოთ დედანის შეტანაზეც. ეს დოკუმენტები უნდა შეიტანოთ PMLP-ში, სადაც ლტოლვილის ან ალტერნატიული სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება. დოკუმენტების დედანის არქონამ, შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე.

შემიძლია თუ არა მშობლიური ენა გამოვიყენო?

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ ინტერვიუს თარჯიმანი დაესწროს. თუ ხედავთ, რომ თარჯიმანი თავს ვერ ართმევს მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს, არ ესმის ან ზუსტად ვერ აღიქვამს თქვენს მიერ ნათქვამს, ასევე სიტუაციას და ცდილობს მონაყოლზე ზეგავლენა მოახდინოს, თქვენ შეგიძლიათ ასეთ თარჯიმანზე უარი თქვათ. ეს შესაძლებელია შემდეგნაირად. მაგალითად, **VRS**-ის წარმომდგენელს, რომელიც ინტერვიუს იწერს, სთხოვოთ თარჯიმნის შეცვლა. ინტერვიუ შეიძლება ჩაწერილი იქნას ხმის ან/და გამოსახულების ჩაწერით, მაგრამ ამის შესახებ ინტერვიუს დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაგაფრთხილონ.

შემიძლია თუ არა ინტერვიუს ასლი მივიღო?

ინტერვიუს დამთავრების შემდეგ უფლება გაქვთ მოითხოვოთ და მიიღოთ თქვენი ინტერვიუს ასლი. მასალების ხელის მოწერამდე, **კიდევ ერთხელ ყურადღებით** (თუ აუცილებლობა მოითხოვს, თარჯიმნის დახმარებით) **უნდა შემოწმდეს ინტერვიუს ტექსტი**. ნებისმიერმა ურთიერთგამომრიცხავმა ფაქტმა შესაძლებელია ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს მთლიანად თქვენს თავშესაფრის მოთხოვნის საკითხზე.

შემიძლია თუ არა მუშაობა, სანამ ჩემს თავშესაფრის მოთხოვნას განიხილავენ?

თუ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განცხადება 12 თვეზე მეტი განიხილება, თქვენ უფლება გაქვთ იმუშავოთ და ასევე იმყოფებოდეთ ლატვიაში თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით.

რა მიზეზები შეიძლება არსებობდეს იმისათვის, რომ ჩემი განცხადება არ იქნეს განხილული?

თქვენი განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ არ იქნება განხილული, თუ:

ა) ევროპის სხვა სახელმწიფოში თქვენ მინიჭებული გაქვთ თავშესაფარი;

ბ) თქვენ უკვე მინიჭებული გაქვთ თავშესაფარი სახელმწიფოში, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა და ეს სახელმწიფო ითვლება უსაფრთხო ქვეყანად, სადაც თქვენ დაბრუნება შეგიძლიათ.

გ) ლატვიაში ჩამოსვლამდე თქვენ იმყოფებოდით სახელმწიფოში, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა და სადაც თქვენ შეგეძლოთ თავშესაფარი მოგეთხოვათ და მიიღეთ კიდეც ან,

დ) თქვენ ლატვიაში თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ, ახალი განცხადება შეიტანეთ იმის შემდეგ, როცა თქვენი თავდაპირველი განცხადება უარყოფილი იქნა და ხელახალი განცხადება არსებითად, რაიმე ახალ ინფორმაციას არ შეიცავს.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩემი განცხადება უარყოფილი იქნა?

თუ თქვენი განცხადება უარყოფილი იქნა, იწყება დაბრუნების პროცესი. თქვენ მოგმართავენ თხოვნით, დატოვოთ ევროკავშირი (არა მხოლოდ ლატვია, არამედ მთელი ევროკავშირი). სასურველია,

ნებაყოფლობით. თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ წარმოშობის ქვეყანაში დასაბრუნებლად ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა გამოიყენოთ, რის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ.

შემიძლია თუ არა თავშესაფარი ლატვიაში, რამდენჯერმე მოვითხოვო?

თუ თქვენი პირველი განცხადება უარყოფილი იქნა როგორც PMLP-ს, ასევე რაიონული სასამართლოს მიერ, თავშესაფრის პროცედურა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, უფლება გაქვთ თავშესაფრის მოთხოვნის განცხადება განმეორებით შეიტანოთ, **თუ იმ დროის განმავლობაში როცა პირველად თავშესაფარი მოითხოვეთ, თქვენს წარმოშობის ქვეყანაში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.**

PMLP შეაფასებს, არის თუ არა შეცვლილი გარემოებები საკმარისად სერიოზული, რათა განხილულ იქნას განმეორებითი განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ.

თუ თქვენი განმეორებითი განცხადება არ იქნება მიღებული განსახილველად, მაშინ ეს გადაწყვეტილება შეგიძლიათ რაიონულ სასამართლოში გაასაჩივროთ. აპელაციის განხილვისას თქვენ თავშესაფრის მაძიებელად არ ჩაითვლებით.

მაქვს თუ არა უფლება იურისტი მოვითხოვო?

როგორც თავშესაფრის მაძიებელს, თქვენ უფლება გაქვთ საკუთარი ფინანსური სახსრებით იურიდიული დახმარება მიიღოთ. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ის, რომ იურისტთან, იურიდიული დახმარების მისაღებად თავიდანვე ანაზღაურებაზე შეთანხმდეთ. შესაძლებელია ასევე, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (იხილეთ ჩამონათვალი ამ ბროშურის დასასრულს) უფასო იურიდიული დახმარება მოითხოვოთ.

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი უფასო იურიდიული დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ თქვენი

თავშესაფრის განცხადება უარყოფილი იქნა და გადაწყვიტეთ მისი გასაჩივრება. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიიღოთ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარება, მოცემულია PMLP-ს მიერ მიღებულ ნეგატიურ გადაწყვეტილებაში.

როგორ შევძლებ ამ ყველაფრის გაგებას?

- თავშესაფრის შესახებ ინტერვიუს ჩაწერის დროს, თქვენ უფლება გაქვთ ინფორმაცია და ახსნა-განმარტებები იმ ენაზე მიაწოდოთ, რომელსაც თქვენ ფლობთ.

- თქვენ უფლება გაქვთ **VRS**-სა და PMLP-გან მიიღოთ ინფორმაცია თავშესაფრის პროცედურასა და თქვენი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, თქვენთვის გასაგებ ენაზე.

- თავშესაფრის მინიჭების ან არმინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი გასაჩივრების წესები და ახსნა-განმარტებები თქვენთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს გადათარგმნილი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თქვენს ინტერესებს უფლებამოსილი პირი იცავს ან იღებთ უფასო იურიდიულ დახმარებას, მაშინ PMLP-ს შეუძლია გადაწყვეტილების თარგმანი არ გადმოგცეთ.

სად დამასახლებენ თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობის დროს?

იმის შემდეგ, რაც თქვენ თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადება შეიტანეთ, სავარაუდოდ, გადაყვანილი იქნებით ღია ტიპის მიმღებ ცენტრში „მუცენიეკი“ - ლატვიის დედაქალაქის ქ.რიგის შორიახლო. „მუცენიეკში“ თქვენ მიიღებთ ძირითად დახმარებას. თუ თქვენ გაქვთ სხვა სამართლებრივი საფუძვლები იმისათვის რომ ლატვიაში იმყოფებოდეთ, შეგიძლიათ საკუთარი სურვილით შეარჩიოთ საცხოვრებელი ადგილი.

არასრულწლოვანები თანხლები პირის გარეშე, განთავსებული იქნებიან მეურვესთან, რომელსაც მზრუნველობის ორგანო ან ბავშვებზე ზრუნვის დაწესებულება გამოჰყოფს.

რატომ და რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება თავშესაფრის მაძიებლის დაკავება?

VRS-ს უფლება აქვს თავშესაფრის მაძიებელი შვიდ დღე-ღამემდე დააკავოს, თუ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთი მაინც არსებობს:

- თავშესაფრის მაძიებლის ვინაობა არ არის დადგენილი;
- არსებობს საფუძველი იმისა, რომ თავშესაფრის მაძიებელს აქვს არაკეთილსინდისიერი ზრახვები და ის არაკეთილსინდისიერად გამოიყენებს თავშესაფრის პროცედურას, ან
- არსებობს საფუძველი იმისა, რომ თავშესაფრის მაძიებელი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ წესრიგს და მათ უსაფრთხოებას.

თავშესაფრის მაძიებლებს, რომელთაც ამ კრიტერიუმებიდან ერთი ან რამდენიმე მაინც ეხებათ, მაშინ ისინი შეიძლება დაკავებული იქნენ VRS-ის მიერ, დროებითი დაკავების ცენტრში ან გადაყვანილი იქნენ დაკავებული უცხოელების მიმღებ ცენტრში, „დაუგავპილსი“.

შვიდი დღე-ღამის შემდეგ, VRS-ს შეუძლია რაიონული სასამართლოსგან ვადის გაგრძელება მოითხოვოს. სასამართლოს შეუძლია დაკავების ვადა ორ თვემდე გააგრძელოს ან შეუძლია უარი თქვას დაკავების ვადის გაგრძელებაზე. მთლიანობაში, დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს იმ დროს, სანამ VRS-ი თავშესაფრის შესახებ განცხადებას განიხილავს.

VRS-ი გაანთავისუფლებს თავშესაფრის მაძიებელს, როცა დაკავების თავდაპირველი მიზეზები აღმოფხვრილი იქნება. განთავისუფლებულ თავშესაფრის მაძიებლებს შეუძლიათ ღია ტიპის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში, „მუცენიეკში“ იმყოფებოდნენ.

როგორ შემიძლია დაკავების შესახებ გადაწყვეტილება გავასაჩივრო?

თუ თქვენ დაკავებული ხართ და სასამართლომ გადაწყვიტა დაკავების ვადა შვიდი დღის შემდეგ გაგრძელებული იქნეს, თქვენ

შეგიძლიათ ეს გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლის დღიდან, 48 საათის განმავლობაში გაასაჩივროთ. საჩივარში მითითებული უნდა იყოს მიზეზი, თუ რატომ არ ეთანხმებით გადაწყვეტილებას და რას ითხოვთ უმაღლესი სასამართლოსგან. აპელაციას ხელი უნდა მოეწეროს და არაუმეტეს 48 საათის განმავლობაში გადაიგზავნოს დაუგავპილსის სასამართლოში (მისამართი იხილეთ ამ ბროშურის დასასრულს).

სასამართლო საჩივარს სააპელაციო სასამართლოში (*ლატგალიის სამხარეო სასამართლო*) გადააგზავნის. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი შეიძლება წერილობითი პროცესით განიხილოს - ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ სიტყვიერ სასამართლო სხდომაზე არ იქნებით გამოძახებული.

რა ხდება მას შემდეგ, თუ გაცემულია ქვეყნის დატოვების ბრძანება?

თუ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია და უარი გეთქვათ ლტოლვილის ან ალტერნატიული სტატუსის მინიჭებაზე ლატვიის რესპუბლიკაში, მაშინ გაცემული იქნება ქვეყნის დატოვების ბრძანება. მასში მითითებული იქნება ვადა, თუ რა დროის განმავლობაში უნდა დატოვოთ ლატვიის რესპუბლიკა. ჩვეულებრივ, ეს ვადა გრძელდება შვიდიდან 30 დღემდე. თქვენ უფლება გაქვთ ლატვიის ტერიტორია ვადაზე ადრე დატოვოთ, ვიდრე ეს ბრძანებაშია მითითებული.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ვადის გაგრძელება ერთ წლამდე. თხოვნა(განცხადება) შეტანილი უნდა იქნას იმ თანამდებობის პირის სახელზე, რომელმაც ქვეყნის დატოვების ბრძანება გასცა. თქვენ ამის შესახებ წერილობითი ინფორმაცია მოგეწოდებათ.

თუ თქვენ ბრძანების თანახმად არ დატოვებთ ლატვიის ტერიტორიას, შესაძლებელია დაგაკავონ და იძულებითი წესით გადაგიყვანონ წარმოშობის ქვეყანაში ან იმ ქვეყანაში სადაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გაქვთ. ასეთ შემთხვევაში მიღებული იქნება იძულებითი გაძევების გადაწყვეტილება.

შესაძლებელია თუ არა, რომ გადავადებული იქნას ქვეყნის დატოვების ბრძანება ან იძულებითი გაძევების შესახებ გადაწყვეტილება?

PMLP/**VRS-**ს შეუძლია ქვეყნის დატოვების ბრძანება ან/და გადაწყვეტილება იძულებითი გაძევების შესახებ გააუქმოს ან შეაჩეროს ჰუმანური მიზნების გამო.

იძულებითი გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, შესაძლებელია გაუქმებული იქნას და მის მაგივრად გაიცეს ქვეყნის დატოვების ბრძანება, თუ უცხოელი ნებაყოფლობით დაბრუნების პროგრამაში ჩაერთო.

ნებაყოფლობით დაბრუნების პროგრამა

საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციას (IOM), შეუძლია მხარი დაუჭიროს ისეთ პირებს, რომელთაც ნებაყოფლობით სურთ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება. მაგალითად, IOM-ს შეუძლია დააფინანსოს სამგზავრო ბილეთები. ამისათვის აუცილებელია განაცხადის ფორმის შევსება, რომელიც IOM-ს ოფისშია ხელმისაწვდომი (საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ამ ბროშურის დასასრულს)

შემიძლია თუ არა ქვეყნის დატოვების ბრძანება ან იძულებითი გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გავასაჩივრო?

თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ, ისევე როგორც ქვეყნის დატოვების ბრძანება, ასევე იძულებითი გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიღების დღიდან შვიდი დღის განმავლობაში. საჩივარი უნდა შეიტანოთ PMLP-ს ან VRS-ში იმის მიხედვით, თუ რომელმა ინსტიტუციამ გასცა შესაბამისი გადაწყვეტილება (მისამართი იხილეთ ამ ბროშურის დასასრულს).

PMLP-ს ან VRS-ის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შვიდი დღის განმავლობაში რაიონულ სასამართლოში (მისამართი

იხილეთ ამ ბროშურის დასასრულს) უნდა გასაჩივრდეს. თუ თქვენ სიტყვიერი სასამართლო სხდომა არ მოგითხოვიათ, მაშინ სასამართლო გადაწყვეტილებას წერილობითი სახით მიიღებს.

თუ თქვენ იურისტის მომსახურების ასანაზღაურებლად არ გაგაჩნიათ საკმარისი ფინანსური სახსრები, უფლება გაქვთ სასამართლოზე აპელაციის პროცესის დროს, სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებადი იურიდიული დახმარება მიიღოთ.

თუ ადმინისტრაციული რაიონული სასამართლო თქვენს აპელაციას უარყოფს, განაჩენის გასაჩივრება მხოლოდ ისეთ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სასამართლომ დაარღვია სამართლებრივი ნორმები ან საქმის განხილვისას, გასცდა თავისი კომპეტენტურობის ფარგლებს (კასაცია). ასეთ შემთხვევაში საჩივარი შესაძლებელია უმაღლეს სასამართლოში შეიტანოთ, სადაც საქმეს წერილობითი ფორმით განიხილავენ (მისამართი იხილეთ ამ ბროშურის დასასრულს).

გამოსადეგი მისამართები:

თავშესაფრის პროცესში ჩართული სახელმწიფო დაწესებულებები

სახელმწიფო საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველო (VRS GP)
შინაგან საქმეთა სამინისტროს
სახელმწიფო საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველო
რუდოლფას ქუჩა 5, ქ.რიგა, LV-1012
ტელეფონი: +371 67075616, +371 67075718
www.rs.gov.lv

VRS მთავარი სამმართველო ზედამხედველობას უწევს საქმის მიმდინარეობას თავშესაფრის მაძიებლებთან მიმართებაში და მართავს **VRS**-ის საქმიანობას.

VRS დაუგავპილსის სამმართველო
ა.პუმპურის ქუჩა 105ბ, ქ.დაუგავპილსი, LV-5404
ტელეფონი: +371 65431122, +371 65403720
ფაქსი: +371 65403700
www.rs.gov.lv

იღებს განცხადებებს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ, ახდენს თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიცირებას, პასუხისმგებელია თავშესაფრის პროცედურის საწყის ეტაპზე, ინტერვიუს ჩაწერაზე და ყურადღებას აქცევს იმ საკითხებს რომლებიც დაკავშირებულია თავშესაფრის მაძიებლის დაკავებასთან მიმართებაში.

VRS ლუძის სამმართველო
ლიეპაიას ქუჩა 2ბ, ქ.ლუძა, LV-5701
ტელეფონი: +371 65703900
ფაქსი: +371 65703910
www.rs.gov.lv

იღებს განცხადებებს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ, ახდენს თავშესაფრის მაძიებლის იდენტიფიცირებას, პასუხისმგებელია თავშესაფრის პროცედურის საწყის ეტაპზე და ინტერვიუზე.

VRS ვილაკას სამმართველო
გარნიზონის ქუჩა 19, ქ.ვილაკა, LV-4583
ტელეფონი: +371 64501927
ფაქსი: +371 64501920
www.rs.gov.lv

იღებს განცხადებებს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ, ახდენს თავშესაფრის მაძიებლის იდენტიფიცირებას, პასუხისმგებელია თავშესაფრის პროცედურის საწყის ეტაპზე, ინტერვიუს ჩათვლით.

VRS ვენტსპილსის სამმართველო
ტალსის ქუჩა 112, ქ.ვენტსპილსი, LV-3602
ტელეფონი: +371 63663279
ფაქსი: +371 63663727
www.rs.gov.lv

იღებს განცხადებებს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ, ახდენს თავშესაფრის მაძიებლის იდენტიფიცირებას, პასუხისმგებელია თავშესაფრის პროცედურის საწყის ეტაპზე, ინტერვიუს ჩათვლით.

VRS რიგის სამმართველოს
დაბრუნებისა და თავშესაფრის მაძიებელთა სამსახური
რუდოლფას ქუჩა 5, ქ.რიგა, LV-1012
ტელეფონი: +371 67075785
ფაქსი: +371 67075721
www.rs.gov.lv

პასუხისმგებელია თავშესაფრის მაძიებელთან ინტერვიუს ჩაწერაზე, საბუთების გადათარგმნაზე და საქმის მასალების გადაგზავნაზე **PMLP**-ს თვშესაფრის საქმეთა განყოფილებაში. ზედამხედველობის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ნებაყოფლობით დაბრუნებასთან ან პირებზე, რომელთა თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადებაც უარყოფილი იქნა იძულებითი გაძევებით.

მოქალაქეობისა და მიგრაციის საქმეთა სამმართველოს (PMLP) თავშესაფრის საქმეთა განყოფილება
ჩეკურკალნის 1 ხაზი 1, მე-3 კორპ., ქ.რიგა, LV-1026
ტელეფონი: +371 67219413; +371 67219252; +371 67219498; +371 67219412
www.pmlp.gov.lv

PMLP განიხილავს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადებებს და ანიჭებს ან უარს ამბობს ლტოლვილისა და ალტერნატიული სტატუსის მინიჭებაზე. **PMLP** -ს უფროსი განიხილავს დაბრუნებასთან დაკავშირებულ ყველა საჩივარს და სახელმწიფოში მოხვედრის აკრძალვას, ასევე უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს პიროვნების იძულებითი გაძევების პროცედურა.

სააპელაციო სასამართლოები და ინსტიტუციები

ადმინისტრაციული რაიონული სასამართლო
ანტონიას ქუჩა 6, ქ.რიგა, LV-1010
ტელეფონი: +371 67077900; +371 67077902
ფაქსი: +371 67077908
www.tiesas.lv
განიხილავს PMLP-ს ყველა საჩივარს, თავშესაფრის საქმეთა განყოფილების მიერ მიღებული გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მიენიჭოს ან არ მიენიჭოს თავშესაფრის მაძიებელს ლტოლვილის ან ალტერნატიული სტატუსი.

ქ.დაუგავპილსის სასამართლო
18 ნოემბრის ქუჩა 37,
ქ.დაუგავპილსი, LV-5403
ტელეფონი: +371 65407732
ფაქსი: +371 65407757
www.tiesas.lv
განიხილავს ყველა **VRS**-ის მოთხოვნებს თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების ვადის გაგრძელებაზე.

ლატგალიის სამხარეო სასამართლო
ატბრივოშანას ხეივანი 95,
ქ.რეზეკნე, LV-4601
ტელეფონი: +371 64623695
ფაქსი: +371 64624033
www.tiesas.lv
განიხილავს ყველა აპელაციას, რომელიც ქ.დაუგავპილსის

სასამართლოს განაჩენთან არის დაკავშირებული.

უმაღლესი სასამართლო
ბრივიბას ბულვარი 36, ქ.რიგა, LV-1511
ტელეფონი: +371 67020350
ფაქსი: +371 67020351
www.at.gov.lv

განიხილავს კასაციის საჩივარს სასამართლოს განჩინებასთან დაკავშირებით, ქვეყნის დატოვების ბრძანებასა და იძულებით დაბრუნებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას

სამართალდამცავი ბიურო
ბაზნიცას ქუჩა 25, ქ.რიგა, LV-1010
ტელეფონი: +371 67686768
www.tiesibsargs.lv

განიხილავს ინდივიდუალურ საჩივრებს, განცხადებებს, გთავაზობთ კონსულტაციებს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე და თვალყურს ადევნებს იძულებითი გაძევების პროცედურას.

უფასო იურიდიული დახმარება

იურიდიული დახმარების ადმინისტრაცია
ბრივიბას გამზირი 214, ქ.რიგა, LV-1039
ტელეფონი: +371 80001801
ფაქსი: +371 67514209
www.jpa.gov.lv

უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ უფასო იურიდიულ დახმარებას იმ პირებისთვის, რომელთაც არ აქვთ საშუალება საკუთარი ფინანსური საშუალებებით გადაიხადონ მომსახურეობა.

ლატვიის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი
ალბერტის ქუჩა 13, ქ.რიგა, LV-1010
ტელეფონი: +371 67039290; +371 67039338
ფაქსი: +371 67039291
www.humanrights.org.lv

დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც

თავშესაფრის მაძიებლებს და არალეგალურ ემიგრანტებს ლატვიაში, იურიდიულ დახმარებას სთავაზობს.

ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაცია

ANO უმაღლესი კომისარიატი ლტოლვილთა საკითხებში (UNHCR)
ჩრდილოეთ სახელმწიფოებისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების რეგიონალური ბიურო
Ynglingagatan 14, 6th fl., SE-113 47, Stockholm, Sweden
ტელეფონი: +46 8 457 48 75
ფაქსი: +46 8 457 48 97
www.enhcr.fi

UNHCR-ი არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც ANO-მ მიანიჭა მანდატი მართოს და კოორდინაცია გაუწიოს საერთაშორისო საქმიანობას ლტოლვილების უსაფრთხოებასა და მათი პრობლემების გადაწყვეტაში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. UNHCR-ის უპირველესი მიზანია დაიცვას ლტოლვილთა უფლებები და კეთილდღეობა. UNHCR-ი უზრუნველყოფს რათა ნებისმიერ ადამიანს შეეძლოს თავშესაფრის ძიების დროს თავისი უფლებები გამოიყენოს და იპოვოს უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი სხვა სახელმწიფოში, ასევე ნებაყოფლობით დაბრუნდეს საკუთარ სახელმწიფოში.

თავშესაფრის მაძიებლის განთავსება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საქმეთა სამმართველოს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი „მუცენიეკი“
იაუნცელტნეს-2, როპაჟის მხარე, LV-2137
ტელეფონი: +371 67901125
www.pmlp.gov.lv

თავშესაფრის მაძიებელს დააბინავებენ მიმღებ ცენტრში და სანამ მის განცხადებას განხილავენ, ფსიქო-სოციალურ, სამედიცინო და სხვა სახის დახმარებას გაუწევენ.

შინაგან საქმეთა განყოფილების სახელმწიფოს საზღვრის დაცვის დაუგავპილსის სამმართველო
დაკავებული უცხოელის მიმღები ცენტრი
„დაუგავპილსი“ (AĀIC „Daugavpils”)
ა.პუმპურის ქუჩა 105 ბ, ქ.დაუგავპილსი, LV-5417
ტელეფონი (Phone on the ground floor): +371 65403720

ცენტრი პასუხისმგებელია თავშესაფრის მაძიებლის განთავსებაზე.

მხარდამჭერი მომსახურეობა

NVO „თავშესაფარი „უსაფრთხო სახლი““
ლაჩპლეშას ქუჩა 29-3,
ქ.რიგა, LV-1011
ტელეფონი:
+371 67898343 (მხოლოდ ლატვიური ენის მფლობელთათვის)
+371 29152855 (ასევე ინგლისური ენის მფლობელთათვის)
ელ-ფოსტა: drosa.maja@apollo.lv
http://www.patverums-dm.lv

„უსაფრთხო სახლი“ უზრუნველყოფს მხარდამჭერ მომსახურეობას ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, თავშესაფრის მაძიებელთათვის, ლტოლვილებისთვის და პიროვნებისთვის ვისაც მინიჭებული აქვს ალტერნატიული სტატუსი.

საზოგადოება ქალთა რესურსების ცენტრი „მარტა“
ბრივიბას ქუჩა 183/1-30,
ქ.რიგა, LV-1012
ტელეფონი: +371 67378539;
ფაქსი: +371 67378538
www.marta.lv

ქალებს სთავაზობს უფასო იურიდიულ მომსახურეობას, ასევე ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მხარდაჭერას ლატვიურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ლატვიის ჰუმანური დახმარების ცენტრი
ლაბორატორიას ქუჩა 1, ქ.რიგა, LV-1009
ტელეფონი: +371 67515109
www.lhpc.lv

სთავაზობს ტანსაცმელს.

ლატვიის წითელი ჯვრის საზოგადოება
შარლოტეს ქუჩა 1დ, ქ.რიგა, LV-1001
ტელეფონი: +371 67336651
ფაქსი: +371 67336652
www.redcross.lv

იძლევა კონსულტაციებს, ინფორმაციას, მხარდაჭერას, ტანსაცმელს და თავშესაფარს უსახლკარო პირთათვის.

ნებაყოფლობითი დაბრუნება

საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაცია (IOM)
ANO-ს სახლი, პილსის ქუჩა 21, ქ.რიგა, LV-1050, ლატვია
ტელეფონი: +371 67503626, +371 67503627
ელ-ფოსტა: imezs@iom.int; ggegere@iom.int.
http://www.iom.lv

IOM-ი არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება პირებს ნებაყოფლობით დაბრუნდნენ წარმოშობის ქვეყანაში. IOM-ი სთავაზობს დახმარებას ასევე რეინტეგრაციის პროცესში.